თამარ მეფის გამზირი 15
თბილისი, საქართველო 0102

15 Tamar Mepe Avenue
0102, Tbilisi, Georgia

Tel: 219-95-67; 219-91-59
Fax: 219-91-51

13.09.2021
4346

მ ი ნ დ ო ბ ი ლ ო ბ ა

საქართველოს რკინიგზა
1872 - დან

ეძლევა სს „საქართველოს რკინიგზის“ მართვის ცენტრალური აპარატის, ქონების მართვის სამსახურის, ქონებრივი პროცედურების მართვის განყოფილების კოორდინატორს შოთა ხაჩიძეს (პ/ნ 57001014906) მასზედ, რომ იგი უფლებამოსილია, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით, ვებ-გვერდზე www.tas.ge განახორციელოს სს „საქართველოს რკინიგზის“ ბალანსზე არსებული, სადგურ ველის და სადგურ ფონიჭალის შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვის მოპოვებასთან დაკავშირებული განაცხადის წარდგენა და საჭირო დოკუმენტაციის ატვირთვა.

საქმეთა წარმოების დირექტორი — პ. გულიაშვილი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია

არქიტექტურის სამსახური

წერილის ნომერი: **60-01212532265**
თარიღი: **10/09/2021**
პინი: **5684**

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

ადრესატი: შპს საქართველოს რკინიგზა
საიდენტიფიკაციო ნომერი: 417877603
მისამართი: თბილისი, თამარ მეფის გამზირი15

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2021 წლის **15 ივლისის № 10/01211962736-60** წერილი, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სადგური ფონიჭალა- დაბა ფონიჭალა, სადგურის ქუჩა ქ. N13 რკინიგზის სადგური და სადგური ველი - გარდაბნის გზატკეცილი, რკინიგზის სადგურის ტერიტორიებზე არსებული ამორტიზებული შენობა-ნაგებობების დემონტაჟის ნებართვას. პასუხადაც გაცნობებთ შემდეგს:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის №17-51 დადგენილებით დამტკიცდა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის ელექტრონული საქმისწარმოების წესი, რომელიც არეგულირებს სამსახურის ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის მეშვეობით საქმისწარმოების და მომსახურების განხორციელების პირობებს. განმცხადებელი ყველა დოკუმენტს და ინფორმაციას, რომელიც აუცილებელია განცხადებაში აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად სამსახურს წარუდგენს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის საშუალებით ვებ–გვერდზე (www.tas.ge). სამსახური ყოველ კონკრეტულ განცხადებას, სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე შესაბამისი ნომენკლატურით დარეგისტრირების შემთხვევაში, განიხილავს ინდივიდუალურად, ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებების გამოკვლევის საფუძველზე და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას კანონით დადგენილი წესით.

იმისათვის, რომ სამსახურმა განიხილოს აღნიშნულ მიწის ნაკვეთებზე არსებული შენობის დემონტაჟის საკითხი, საჭიროა განცხადება საჭირო დოკუმენტაციის თანდართვით ატვირთოთ, სამსახურის ვებ-გვერდზე, http://tas.ge/ შესაბამის ნომენკლატურაში, კერძოდ: „მშენებლობის ნებართვა“ -> „სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის ობიექტები” -> ქმედება - ,,დემონტაჟი“.

თეონა ახალაშვილი

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური-სამსახურის უფროსის მოადგილე (სანებართვო საკითხებში)

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

57001074906

ს ს ი პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

ექსპერტიზის დასკვნა



WWW.EXPERTIZA.GOV.GE

ლევან სამხარაულის სახელობის
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
LEVAN SAMKHARAULI NATIONAL FORENSICS BUREAU

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW

№ 5006255315
07/12/2015
201 წ.

5006255315

სს "საქართველოს რკინიგზის" სატვირთო
გადაზიდვების დირექტორს ბატონ ა. ნიკოლაიშვილს

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი N5463 მომართვის (ბიუროს 2015 წლის 1 სექტემბრის რეგისტრაციის N1006406915) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N007228215 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 04 ფურცლად;

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84 (995 32) 225 84 84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia (995 32) 229 05 24
info@forensics.ge
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5 (995 431) 21 30 03
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia info@forensics.ge
ბათუმი 6000, პუშკინის ქ. №145 (995 422) 27 94 30
145 Pushkini str. Batumi., Georgia info@forensics.ge

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

007228215

ექსპერტის დასკვნა № 007228215

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი :

ორგანიზაცია: სს საქართველოს რკინიგზა

თანამდებობა: სატვირთო გადაზიდვების დირექტორი

მისამართი:

სახელი და გვარი: ა. ნიკოლაიშვილი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები :

ჯემალ ესაიაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 51 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

გთხოვთ, დაგვიდგინოთ ფონიჭალის სადგურის შენობა ექვემდებარება თუ არა დემონტაჟს და დემონტაჟის შემთხვევაში ამოღებული მეორადი მასალის სავარაუდო ღირებულება.

შემოსვლის თარიღი: 01.09.2015წ. გასვლის თარიღი: 07.12.2015წ

დასკვნა

ფონიჭალაში არსებული სადგურის შენობის კონსტრუქციების, ელემენტების და დეტალების ფიზიკური ცვეთის შედეგად, შენობის ტექნიკური საექსპლუატაციო თვისებები 60 პროცენტზე მეტითაა შემცირებული. შენობის არსებული ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეფასდეს, როგორც უვარგისი და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მიუღებელი. შენობა ექვემდებარება დემონტაჟს.

რაც შეეხება დემონტაჟის შედეგად ამოღებული მეორადი მასალის სავარაუდო ღირებულობას, მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც დაშლილი ნაგებობიდან ვარგისი გამორჩეული მასალა ცალკე იქნება დასაწყობებული.

ჯემალ ესაიაშვილი

გამოკვლევა

2015 წლის 20 ნოემბერს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში შემოვიდა

00110

007228215

ექსპერტის დასკვნა № 007228215

განცხადება თხოვნით ვიზუალურად შეგვესწავლა ქვემო ფონიჭალაში არსებული სადგურის შენობის ტექნიკური მდგომარეობა. შენობა ერთსართულიანია, სარდაფით. იგი 1932 წელსაა აშენებული ხის კონსტრუქციებით. მისი ტექნიკური მდგომარეობა მძიმეა.

შენობის ექსპლოატაცია სავარაუდოდ 60 -70 წელი მიმდინარეობდა. მისი გაბარიტული ზომები გეგმაში 20-15 მეტრია, სართულის სიმაღლე 4 მეტრამდე. შენობა დახრილ ფერდზეა აშენებული. საძირკვლები და სარდაფის კედლები ფლეთილი ქვებით არის აშენებული. შენობის შეტკეჩილი ხის გარე მზიდი კედლები ეყრდნობიან სარდაფის კედლებს. შიგა კედლებიც შეტკეცილი ხისაა მათ საყრდენად ხის იატაკებია გამოყენებული. შენობის სახურავი ხის ნივნივებზეა მოწყობილი. ბურულად ძირითადად აზბესცემენტის ფილებია გამოყენებული. შენობის ფასადის მხრიდან ბაქანის სისწორეზე გრძივ კედელზე მიბჯენილია ხის სვეტებზე დაყრდნობილი ღია გალერეა, დამუშავებული დეკორატიული ელემენტებით.

შენობის კედლები ტკეჩის ჩამოშლით ლპობისგანაა დაზიანებული. იატაკებიც ტენის გამო დაზიანებულია, რამდენიმე ადგილას დახრილია. გადახურვა არვარგა. შენობის კონსტრუქციების, ელემენტებისა და დეტალების მდგომარეობა მძიმეა, თითოეული მათგანის ფიზიკური ცვეთა 60%-ზე მეტია. შენობის ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეფასდეს როგორც უვარგისი და უსაფრთხო ექსპლუატაციისათვის მიუღებელი.

რაც შეეხება ამოღებული მეორადი მასალის სავარაუდო ღირებულობის დაზუსტდებას, მაშინ იქნება შესაძლებელი, როდესაც დაშლილი ნაგებობიდან ვარგისი გამორჩეული მასალა ცალკე იქნება დასაწყობებული.

ამრიგად, ფონიჭალაში არსებული სადგურის შენობის კონსტრუქციების, ელემენტების და დეტალების ფიზიკური ცვეთის შედეგად, შენობის ტექნიკური საექსპლუატაციო თვისებები 60 პროცენტზე მეტითაა შემცირებული. შენობის არსებული ტექნიკური მდგომარეობა უნდა შეფასდეს, როგორც უვარგისი და უსაფრთხო ექსპლუტაციისათვის მიუღებელი.

ჯემალ ესაიაშვილი

გამოყენებული მასალები

1. საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საცხოვრებელი და საზოგადოებრივი შენობების გამოკვლევისა და სეისმომედეგობის თვალსაზრისით მათი ტექნიკური მდგომარეობის დადგენის ინსტრუქცია. თბილისი 1992 წ.

2. ევროპის მაკროსეისმური სკალა. 1998 წ. გამომცემელი რედაქტორი გ. გრუნტალი.

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია


007228215

ექსპერტის დასკვნა № 007228215

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2




ფოტო 3



ფოტო 4



ფოტო 5



ფოტო 6



ფოტო 7



ფოტო 8

WWW.FORENSICS.GE

WWW.EXPERTIZA.GOV.GE WWW.FORENSICS.GE

თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ. №84
84 Chavchavadze ave., Tbilisi 0162, Georgia
ქუთაისი 4600, მესხის ქ. №5
5 Meskhi str. Kutaisi 4600., Georgia
ბათუმი 6014, ა. მელიქიშვილის ქ. №102
105 P. Meliqishvili str., 6014 Batumi, Georgia

(995 32) 225 84 84
(995 32) 229 05 24
info@forensics.ge
(995 32) 225 84 84
30 03
info@forensics.ge
(995 32) 225 84 84
31 03
info@forensics.ge

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

შპს "ნ და ლ"

ქ.თბილისი, დაბა ფონიჭალა სადგურის ქუჩა №13
სადგური ფონიჭალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ქ. თბილისი 2020 წ.

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK



ორგანიზაციის სახელწოდება

შპს „ნ და ლ"

საკონტაქტო ინფორმაცია

ქართლელიშვილის ქ. 33 ობილისი საქართველო

დამკვეთი:

სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა:

პირობითი აღნიშვნა:

პროექტის სახელწოდება:

ქ.ობილისი, დაბა ფონჯალა, სადგურის ქუჩა №13, სადგურ ფონჯალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ნახაზის დასახელება:

სიტუაციური გეგმა

დირექტორი:
ზაალ ხრებაშვილი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

მაშტაბი:	ფორმატი A-3
ფურცელი №:	ფურცელი სულ:

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ორგანიზაციის სახელწოდება

შპს „ნ და ლ"

საკონტაქტო ინფორმაცია

ქართლელიშვილის ქ. 33 თბილისი საქართველო

დამკვეთი:

სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა:

პიროგითი აღნიშვნა:

პროექტის სახელწოდება:

ქ.თბილისი, დაბა ფონიჭალა, სადგურის ქუჩა №13, სადგური ფონიჭალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ნახაზის დასახელება:

სიტუაციური გეგმა

დირექტორი:
ზაალ ხრებაშვილი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

მაშტაბი:	ფორმატი A-3
შურცელი №:	შურცელი სულ:

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK









ორგანიზაციის სახელწოდება

შპს „ნ და ლ"

საკონტაქტო ინფორმაცია

ქართლელიშვილის ქ. 33 თბილისი საქართველო

დამკვეთი:

სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა:

პირობითი აღნიშვნა:

პროექტის სახელწოდება:

ქ.თბილისი, დაბა ფონიჭალა, სადგურის ქუჩა №13, სადგური ფონიჭალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ნახაზის დასახელება:

სიტუაციის ამსახველი სურათები

დირექტორი:
ზაალ ხრებაშვილი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი


მაშტაბი:	ფორმატი A-3
ფურცელი №:	ფურცელი სულ:

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK









ორგანიზაციის სახელწოდება

შპს „ნ და ლ"

საკონტაქტო ინფორმაცია

ქართლელიშვილის ქ. 33 თბილისი საქართველო

დამკვეთი:

სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა:

პირობითი აღნიშვნა:

პროექტის სახელწოდება:

ქ.თბილისი, დაბა ფონიჭალა, სადგურის ქუჩა №13, სადგური ფონიჭალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ნახაზის დასახელება:

სიტუაციის ამსახველი სურათები

დირექტორი:
ზაალ ხრებაშვილი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

მაშტაბი:	ფორმატი A-3
ფურცელი №:	ფურცელი სულ:


ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

პირველი სართულის გეგმა

მ. 1:100



ორგანიზაციის სახელწოდება

შპს „ნ და ლ"

საკონტაქტო ინფორმაცია

ქართლელიშვილის ქ. 33 თბილისი საქართველო

დამკვეთი:

სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა:

პროგრამით აღნიშვნა:

პროექტის სახელწოდება:

ქ.თბილისი, დაბა ფონიჭალა, სადგურის ქუჩა №13, სადგური ფონიჭალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ნახაზის დასახელება:

პირველი სართულის გეგმა

დირექტორი:
ზაალ ხრებაშვილი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი


მაშტაბი:	ფორმატი A-3
ფურცელი №:	ფურცელი სულ:

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

მეორე სართულის გეგმა

მ. 1:100



ორგანიზაციის სახელწოდება

შპს „ნ და ლ"

საკონტაქტო ინფორმაცია

ქართლელიშვილის ქ. 33 თბილისი საქართველო

დამკვეთი:

სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა:

პირობითი აღნიშვნა:

პროექტის სახელწოდება:

ქ.თბილისი, დაბა ფონიჭალა, სადგურის ქუჩა №13, სადგურთ ფონიჭალას შენობის დემონტაჟის პროექტი

ნახაზის დასახელება:

მეორე სართულის გეგმა

დირექტორი:
ზაალ ხრებაშვილი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

პროექტის ავტორი:
მერაბ ხაჩატურიანი

მაშტაბი:	ფორმატი A-3
ფურცელი №:	ფურცელი სულ:

ВЫПОЛНЕНО В СТУДЕНЧЕСКОЙ ВЕРСИИ ПРОГРАММЫ AUTODESK

შპს

„ნდალ”

ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი

(მოპი)

თბილისი 2020 წელი

შპს

„ნ და ლ”

ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობის დემონტაჟი

სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი

(მოპი)

დირექტორი ზ. ხარებაშვილი

ორგანიზების პროექტის ავტორი ტ. სტურუა

თბილისი 2020 წელი

შემადგენლობა

ა) განმარტებითი ბარათი

I.შესავალი

II.სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

III.სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

IV.სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

VIII.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ბ) გრაფიკული ნაწილი

ნახაზი „დო-1“ – „სადემონტაჟო გენგეგმა“; სადემონტაჟო სქემა“

ა) განმარტებითი ბარათი

I. შესავალი

ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობის „სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი (მოპი)“ დამუშავებულია შ პ ს „ ნ და ლ’’-ს მიერ.

წინამდებარე „ სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი“ დამუშავებულია შემდეგი მოქმედი სამშენებლო ნორმებისა და წესების (სნდაწ) და ტექნიკურ-ნორმატიული დოკუმენტების საფუძველზე:

1.სნდაწ 3.01.01-85* - „სამშენებლო წარმოების ორგანიზაცია“

2. სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“

3. სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“

4. ტექნიკური რეგლამენტი „ მშენებლობის უსაფრთხოების შესახებ“

5 . ტექნიკური რეგლამენტი „ შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესები“

6. ტექნიკური რეგლამენტი „ სიმაღლეზე მუშაობის უსაფრთხოების მოთხოვნების შესახებ“ , ასევე სხვა მეთოდურ-ნორმატიული დამხმარე დოკუმენტაციის საფუძველზე.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე სნდაწ 3.01.01-85*-ის მოთხოვნის თანახმად დემონტაჟის შემსრულებელმა ორგანიზაციამ აუცილებლად უნდა უზრუნველყოს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს დამუშავება. აკრძალულია დემონტაჟის დაწყება დამტკიცებული „სამუშაოთა წარმოების პროექტი“-ს გარეშე.

დამკვეთის მიერ აუცილებლად უნდა განხორციელდეს ტექნიკური ზედამხედველობა სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებაზე.

II. სადემონტაჟო ობიექტის დახასიათება

დემონტაჟს ექვემდებარება ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობა.

სადემონტაჟო შენობა არის ორსართულიანი, მართკუთხედის ფორმის, ზომებით გეგმაში 16,12 X 22,10 მ. შენობის კონსტრუქციული სიმაღლე-9,0 მ (საორიენტაციო).

შენობის კონსტრუქციული აგებულება (ვიზუალური დათვალიერებით) შემდეგია:

საძირკვლები- ლენტური, ყორებეტონის.

მზიდი კედლები-პირველი სართულის - წითელი აგურის და თლილი ქვის, მეორე სართულის- ძირითადად-ხის კონსტრუქციებით, ნაწილი- აგურის.

ტიხრები- ე.წ. „ტკეჩი“-ს.

სართულშუა გადახურვა და დახურვა- ანაკრები ხის კონსტრუქციებით.

ჭერი- ე.წ. „ტკეჩი“-ს.

კიბე- ხის მასალით.

სახურავი-ქანობიანი, თუნუქის, მცირე ნაწილი- აზბესტის შიფერით.

სადემონტაჟო შენობის საბოლოო კონსტრუქციული აგებულება დაზუსტდეს „სამუშაოთა წარმოების პროექტ“-ში ან ადგილზე, კონსტრუქციების გაშიშვლების შემდეგ.

სადგურის სადემონტაჟო შენობა უფუნქციოა. სახურავის ნაწილი და მეორე სართულის ხის კედლების ნაწილი ჩანგრეულია. თუნუქის ბურული დაზიანებულია და შენობაში ჩადის ატმოსფერული ნალექები. სახურავის და მეორე სართულის ხის კონსტრუქციები დაზიანებულია და დაწყებული აქვთ ლპობა. აგურის და ქვის მზიდი კედლების ნაწილი გაშიშვლებულია და დაბზარულია, მათი ნაწილი კი ჩამონგრეულია. „ტკეჩი“-ს ტიხრების ნაწილი მონგრეულია. ჭერის დიდი ნაწილი ჩამონგრეულია. შენობა ვერ აკმაყოფილებს თანამედროვე სეისმიურ მოთხოვნებს.

III. სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობა

ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობის დემონტაჟის ხანგრძლივობა განსაზღვრულია სნდაწ 1.04.03-85 – „მშენებლობის ხანგრძლივობის ნორმები“-ს და დამხმარე „სარეკონსტრუქციო და სადემონტაჟო სამუშაოთა ხანგრძლივობის განსაზღვრა“-ს საფუძველზე და შეადგენს სამუშაოების დაწყებიდან 2 თვეს, მათ შორის მოსამზადებელი პერიოდის ხანგრძლივობა-0,25 თვე.

ცალკეულ სადემონტაჟო სამუშაოთა ტექნოლოგიური თანამიმდევრობა და ხანგრძლივობა მოცემულია „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარულ გეგმა“-ში.

IV. სადემონტაჟო სამუშაოთა რიგობრიობა და ეტაპები

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სრულდება ორ რიგად:

პირველი რიგი- მოსამზადებელი სამუშაოები.

მეორე რიგი- დემონტაჟის ძირითადი სამუშაოები.

მოსამზადებელ პერიოდში სრულდება შემდეგი სამუშაოები:

1) დროებითი ღობის მოწყობა (სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა).

2) დროებითი შენობა-ნაგებობის მოწყობა.

3) შენობის შიგა ქსელების გამორთვა გარე საკომუნიკაციო ქსელებიდან.

4) მტვრისგან და ხმაურისგან დამცავი ღონისძიებების განხორციელება.

5) სახიფათო ზონების შემოღობვა; ამკრძალავი, გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა.

6) დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა.

ძირითად პერიოდში ხორციელდება სადგურის შენობის სადემონტაჟო სამუშაოები შემდეგ ძირითად ეტაპებად:

I ეტაპი - არამზიდი ელემენტების დემონტაჟი(ბურული; ჭერი; ტიხრები; იატაკი). სახურავის კონსტრუქციების დემონტაჟი.

II ეტაპი- მეორე სართულის ელემენტების დემონტაჟი.

III ეტაპი - პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი.

IV ეტაპი - საძირკვლების დემონტაჟი და წარმოშობილი ტრანშეის გრუნტით შევსება .

დემონტაჟის შედეგად მიღებული მეორადი გამოყენებისათვის ვარგისი მასალები დროებით დასაწყობდება სადემონტაჟო მოედანზე.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხდება ნაგავსაყრელზე.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ , „სახურავიდან- საძირკვლების ჩათვლით“, ელემენტური დაშლის, გამსხვილებულ ბლოკებად დაშლისა და დაშლა-მონგრევის მეთოდებით, დემონტაჟის წარმოების ტექნოლოგიის შესაბამისად.

სართულებზე შენობის მზიდი ელემენტების დემონტაჟი (მათი გაშიშვლების შემდეგ) ხორციელდება შემდეგი თანმიმდევრობით:

1.გადახურვის მზიდი ელემენტების დემონტაჟი.

2. სართულის მზიდი კედლების და ხის სვეტების (მეორე სართული) დემონტაჟი.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს შემდეგი თანმიმდევრობით:

1. შენობის არამზიდი ელემენტების დემონტაჟი:
2. შენობის მზიდი ელემენტების დემონტაჟი.

პირველი სართულის მზიდი ელემენტების დემონტაჟის შემდეგ ხორციელდება საძირკვლების დემონტაჟი.

საძირკვლების დემონტაჟის შემდეგ წარმოშობილი ტრანშეა შეივსოს გრუნტით და მოშანდაკდეს.

V.სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები

შენობის სადემონტაჟო სამუშოთა წარმოებისას მკაცრად უნდა იქნას დაცული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების ტექნოლოგიური თანამიმდევრობა.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან ყველა შიგა კომუნიკაცია (დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა).

მზიდი კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი ტექნიკური მდგომარეობა,განლაგება და მაქსიმალური წონა. მხოლოდ ამის შემდეგ არის ნებადართული მათი დემონტაჟის დაწყება.

სადემონტაჟო სამუშაოები სწარმოებს „ზემოდან-ქვემოთ“ ანუ „სახურავიდან-საძირკვლების ჩათვლით“

ყველა კონსტრუქცია დემონტაჟის დაწყებამდე უნდა გაშიშვლდეს.

სამუშაოთა წარმოების პროექტში დამუშავდეს ანაკრები მზიდი კონსტრუქციების ელემენტური დაშლის დეტალური მეთოდები და ტექნოლოგიური თანამიმდევრობა. პირველ რიგში დემონტირებული იქნას ავარიულ მდგომარეობაში მყოფი ანაკრები კონსტრუქციები, დემონტაჟის ტექნოლოგიის სრული დაცვით. მზიდი კედლების დემონტაჟის დაწყება ნებადართულია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მასზე დაყრდნობილი გადახურვის ყველა ელემენტი დემონტირებულია. აუცილებლობის შემთხვევაში მოხდეს სადემონტაჟო კონსტრუქციების დროებითი დაჭერა-დამაგრება.

სადემონტაჟო სამუშაოები ელემენტების შესაბამისად სწარმოებს შემდეგნაირად:

საინჟინრო ქსელების დაშლის დროს ხდება მათი დანაწევრება დაჭრით. შეერთებების დაშლა შესაძლებელია ხელის ჩაქუჩებით.

ტიხრების , სახურავის ბურულის დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ელემენტური დაშლით ან მონგრევით.

ხის ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი ხდება მათი ელემენტური დაშლის მეთოდით.

მზიდი კედლების დემონტაჟი ხორციელდება ხელით, ორი მეთოდით:

1) ელემენტური დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალის კედლების დემონტაჟი

2) გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის გზით- მეორადი გამოყენებისთვის უვარგისი მასალის კედლების დემონტაჟი.

აკრძალულია კედლების დემონტაჟი პირდაპირი მონგრევის გზით.

კედლების დემონტაჟი სწარმოებს დროებითი ინვენტარული ხარაჩოების გამოყენებით .

აგურის და ქვის კედლების დაშლა - მონგრევა (აუცილებლობის შემთხვევაში) და საძირკვლების დაშლა-მონგრევა ხორციელდება ხელით, პნევმატური სანგრევი ჩაქუჩების გამოყენებით (აუცილებლობის შემთხვევაში დასაშვებია ექსკავატორ-კოდალას გამოყენება პირველ სართულზე და საძირკვლებში.)

კედლების გამსხვილებულ ბლოკებად დაშლის შემთხვევაში ამ ბლოკების დემონტირება და ტრანსპორტირება მიწამდე ხორციელდება საავტომობილო ამწით, ტვირთამწეობით 25 ტნ.

საძირკვლებში გრუნტის დამუშავება , სამშენებლო ნაგვის აღება და ავტოთვითმცლელებზე დატვირთვა ხორციელდება

ექსკავატორით, ჩამჩის ტევადობით 0, 25მ^3. ნაგვის გატანა ნაგავსაყრელზე ხორციელდება ავტოთვითმცლელებით.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოები(ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟი; კედლების გამსხვილებული ბლოკების დემონტაჟი; მძიმე დეტალებისა და ნაკეთობების დემონტაჟი; ვარგისი მასალების ჩამოღება; სამშენებლო ნაგვის ჩამოღება და სხვ.) ხორციელდება საავტომობილო ამწის გამოყენებით, ტვირთამწეობით 25 ტნ.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას ამწე მოძრაობს შენობის გარედან, განივი და გრძივი კონტურის გასწვრივ , მიბმით კონტურთან 3,5 მეტრზე (იხ. ნახაზი „ დო-1“).

საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ, ასევე ისრულ-ბატიყელიან შესრულებაში.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უშუალოდ მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ, მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ქვეშ და ასევე მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. ყველა ამ ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ამ ხაზების გამორთულ და უმოქმედო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში), მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის დამცავ ზონაში (20 მეტრი კიდურა ხაზიდან) და მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს(მათ დამცავ ზონაში) სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე. დამშვებ განწესს გასცემს შესაბამისი ხაზის ან ქსელის მფლობელი ორგანიზაცია.

მაღალი ძაბვის ელ გადამცემ ხაზებთან(ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) და ასევე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის

ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 3,0 მეტრზე ახლოს, ხოლო დაბალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 2,0 მეტრზე ახლოს საავტომობილო ამწის ისრის მიახლოება და ასევე ნებისმიერი სადემონტაჟო სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.

სამშენებლო ნაგვის ვერტიკალური ტრანსპორტირება ხორციელდება დახურული ღარების მეშვეობით.

სამუშაოთა წარმოებისას დაცული უნდა იქნას სნდაწ - III-4-80*-ის და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნები.

VI.საჭირო მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი

შენობის სადემონტაჟო სამუშაოების ჩასატარებლად საჭიროა შემდეგი მანქანა-მექანიზმები და ტრანსპორტი:

1. საავტომობილო ამწე, ტვირთამწეობით 25ტნ. -1 ცალი
2. ექსკავატორი „უკუჩამჩა“, ტევადობით 0,25მ^3-1 ცალი
3. მოძრავი კომპრესორი-1 ცალი
4. ავტოთვითმცლელები-1 ცალი
5. ბორტული ავტომანქანა-1 ცალი
6. ავტოდამტვირთავი-1 ცალი
7. სპეციალიზებული ტრანსპორტი - 1 ცალი
8. ექსკავატორი-კოდალა (აუცილებლობის შემთხვევაში)- 1 ცალი

დემონტაჟისათვის აუცილებელია ასევე შემდეგი მცირე მექანიზაციის საშუალებები და ინვენტარი:

1. მცირე მექანიზაციის საშუალებები-1კომპლექტი
2. პნევმატური სანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
3. ელექტროსანგრევი ჩაქუჩები-1ცალი
4. ელექტრული ჭრის მექანიზმი-1ცალი
5. ინვენტარული ხარაჩოები -40 მ2

VII. სამუშაოთა წარმოების უსაფრთხოება

ყველა სადემონტაჟო სამუშაო უნდა შესრულდეს სნდაწ - III-4-80* - „უსაფრთხოების ტექნიკა მშენებლობაში“-ის და უსაფრთხოების მოქმედი ტექნიკური რეგლამენტების მოთხოვნების მკაცრი დაცვით, ასევე ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების მოთხოვნების მკაცრი დაცვით.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე აუცილებლად უნდა დამუშავდეს „სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტი“, რომელშიც დეტალურად იქნება მოცემული სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების მეთოდები და უსაფრთხოების ღონისძიებები.

სადემონტაჟო სამუშაოების დაწყებამდე შენობის შიგა კომუნიკაციები(დენი,წყალი,კანალიზაცია,გაზი და სხვა) უნდა გამოირთოს გარე ქსელებიდან.

ანაკრები კონსტრუქციების დემონტაჟის დაწყებამდე აუცილებლად უნდა დაზუსტდეს მათი წონები,განლაგება და ტექნიკური მდგომარეობა. სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას წარმოშობილი სახიფათო ზონის საზღვარი სადემონტაჟო შენობის გარე კონტურის გარშემო შეადგენს 5.0 მ-ს. სახიფათო ზონა აუცილებლად უნდა მოექცეს დროებითი ღობის კონტურს შიგნით.

სადემონტაჟო მოედანი უნდა შემოიღობოს საჩეხიანი დროებითი ღობით. დროებითი შემოღობვის მოწყობის საკითხები დეტალურად გადაწყდეს უშუალოდ ადგილზე, დემონტაჟის განმახორციელებელი ორგანიზაციის მიერ.

სადემონტაჟო სამუშაოების წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სადემონტაჟო მოედნის ტერიტორიაზე და განსაკუთრებით კი დემონტაჟის სახიფათო ზონებში.

დემონტაჟის სახიფათო ზონის მოცემული რადიუსი დაზუსტდეს

სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების პროექტში ან ადგილზე უშუალოდ სამუშაოთა დაწყების წინ. დემონტაჟის სახიფათო ზონა შემოიღობოს დროებითი ღობით და აღინიშნოს კარგად დასანახი ნიშნებით და სიგნალებით.

ყველა მუშა და ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი სამუშაოთა წარმოებისას აღჭურვილი უნდა იყოს ინდივიდუალური უსაფრთხოების კომპლექტით(უსაფრთხოების ქამრები,რეზინის ფეხსაცმელები, რეზინის ხელთათმანები, დამცავი ჩაფხუტები და სხვა). აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოებზე მუშათა დაშვება დამცავი ჩაფხუტის,უსაფრთხოების ქამრების,რესპირატორებისა და დამცავი სათვალეების გარეშე.

აკრძალულია სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება უშუალოდ მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ, მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის ქვეშ და ასევე მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ. ყველა ამ ელ. გადამცემი ხაზების ქვეშ სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოება დასაშვებია მხოლოდ ამ ხაზების გამორთულ და უმოქმედო მდგომარეობაში ყოფნის შემთხვევაში.

მოქმედი მაღალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს , მოქმედი მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის დამცავ ზონაში (20 მეტრი კიდურა ხაზიდან) და მოქმედი დაბალი ძაბვის ელ. გადამცემი ხაზების სიახლოვეს სადემონტაჟო სამუშაოების წარმოება დასაშვებია მხოლოდ დამშვები განწესის საფუძველზე. დამშვებ განწესს გასცემს შესაბამისი ხაზის ან ქსელის მფლობელი ორგანიზაცია.

მაღალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) და ასევე მაღალი ძაბვის საკონტაქტო ქსელის

ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 3,0 მეტრზე ახლოს, ხოლო დაბალი ძაბვის ელ. გადამცემ ხაზებთან (ჰორიზონტალურად და ვერტიკალურად) 2.0 მეტრზე ახლოს საავტომობილო ამწის ისრის მიახლოება და ასევე ნებისმიერი სადემონტაჟო სამუშაოს წარმოება დაუშვებელია.

სადემონტაჟო სამუშაოებზე დასაქმებულებს აუცილებლად უნდა ჩაუტარდეს სისტემური სწავლება უსაფრთხოების ტექნიკის საკითხებში. მხოლოდ ამ სწავლებების შემდეგ არის ნებადართული მათი დაშვება სადემონტაჟო სამუშაოებზე.

შენობის სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას აკრძალულია უცხო ადამიანთა ყოფნა სახიფათო ზონაში.

ყოველი მომუშავე სამუშაოს წარმოებისას უნდა იმყოფებოდეს უშუალოდ თავის სამუშაო ადგილზე,მოერიდოს სახიფათო ზონებში ყოფნას და სიარულს,დაემორჩილოს ამკრძალავ,გამაფრთხილებელ და მიმთითებელ ნიშნებს. სამუშაოები უნდა სწარმოებდეს უშუალოდ სამუშაოთა მწარმოებლის მეთვალყურეობით.

სამშენებლო ნაგვის გატანა ხორციელდება ავტოთვითმცლელებით ნაგავსაყრელზე. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოებისას მიღებული უნდა იქნას ზომები და შემუშავდეს ღონისძიებები გარემოსა და გარშემომყოფთა დასაცავად მტვრისგან და ხმაურისგან.

+


VIII. სადემონტაჟო სამუშაოთა წარმოების კალენდარული გეგმა

ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობის დემონტაჟი


დემონტაჟის ხანგრძლივობა- 2 თვე

№	სადემონტაჟო სამუშაოთა დასახელება	ხანგრძლივობა (თვე)	სამუშაოთა წარმოების გრაფიკი	
			თვეები	
			I	II
1	2	3	4	5
	I. მოსამზადებელი სამუშაოები:			
1	სადემონტაჟო მოედნის შემოღობვა დროებითი ღობით. დროებითი შენობის მოწყობა.	0.25	———	
2	დროებითი სასაწყობო მოედნის მოწყობა. შიგა ქსელების გამორთვა გარე ქსელებიდან.	0.25	———	
3	ამკრძალავი და გამაფრთხილებელი ნიშნების და სიგნალების მოწყობა. მტვრისგან და ხმაურისგან დაცვა.	0.25	———	
	II. ძირითადი სადემონტაჟო სამუშაოები (შენობა) :			
4	არამზიდი ელემენტების დემონტაჟი. სახურავის კონსტრუქციების დემონტაჟი.	0.3	———	
5	მეორე სართულის ელემენტების დემონტაჟი	0.5	———	
6	პირველი სართულის ელემენტების დემონტაჟი	0.7		———
7	საძირკვლების დემონტაჟი და ტრანშეის გრუნტით შევსება.	0.4		———
8	მეორადი გამოყენებისთვის ვარგისი მასალების გატანა მოედნიდან; სამშენებლო ნარჩენების გატანა მოედნიდან	1,0		———

სადემონტაჟო გენგეგმა მ1:400



სადემონტაჟო სქემა მ1:250



საავტომობილო ამწის (25ტნ) -კს5473ა-ს ტექნიკური მახასიათებლები (საყრდენებზე)

1.	ისრის სიგრძე,მ	10	15	20
2.	ისრის შვერა,მ:			
	მინიმალური	3,2	3,5	4,2
	მაქსიმალური	8	12	18
3.	ტვირთამწეობა,ტნ:			
	მინიმალურ შვერაზე	25	16	9,5
	მაქსიმალურ შვერაზე	7	3	1,4
4.	კაკვის აწევის სიმაღლე,მ:			
	მინიმალურ შვერაზე	10	14,2	19,3
	მაქსიმალურ შვერაზე	4,1	7,2	5,4

შენიშვნები

1.წინამდებარე ნახაზი "დო-1" იხილეთ განმარტებით ბარათთან და კალენდარულ გეგმასთან ერთად.
2.სადემონტაჟო გენგეგმა და სადემონტაჟო სქემა დამუშავებულია შენობის მიწისზედა ნაწილის დემონტაჟის პერიოდისთვის.
3.შენობის სადემონტაჟო სამუშაოები წარმოებს საავტომობილო ამწის დახმარებით, ტვირთამწეობით 25ტნ
სამუშაოთა წარმოების დროს ამწე მოძრაობს შენობის გარეთა მხრიდან,განივი და გრძივი კონტურის გასწვრივ,
მიბმით შენობასთან 3.5 მეტრზე.საავტომობილო ამწე მუშაობს როგორც ისრულ,ასევე ისრულ-გატიყელიან შესრულებაში.
4.ყველა სადემონტაჟო სამუშაო შესრულდეს უსაფრთხოების მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით.
5.სამუშაოების დაწყებამდე,ადგილზე დაზუსტდეს ამწის მუშა მოძრაობის ზოლი და დროებითი ღობის მოწყობის საკითხი.

ორგანიზაციის სახელწოდება
შპს "ნ და ლ"
საკონტაქტო ინფორმაცია
ქართველიშვილის ქ.33 თბილისი
საქართველო

დამკვეთი:
სს "საქართველოს რკინიგზა"

შენიშვნა

პირობითი აღნიშვნები

- სადემონტაჟო შენობა
- დროებითი სანაწყობე მოედანი
- დროებითი შენობა
- საავტომობილო ამწე
- დროებითი ღობე
- სახიფათო ზონის საზღვარი
- ამწის კიდურა დგომი
- ამწის სვლის ღერძი
- მ.ძ.ძ დამცავი ზონის საზღვარი
- არსებული არასადემონტაჟო შენობა

პროექტის სახელწოდება	
ფონიჭალას რკინიგზის სადგურის შენობის დემონტაჟი	
პროექტის ნაწილი:	
სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზების პროექტი	
ნახაზის დასახელება:	
სადემონტაჟო გენგეგმა: სადემონტაჟო სქემა	
დირექტორი: ზ.ხარებამვილი	
ორგანიზების პროექტის ავტორი: ტ.სტურუა	
მასშტაბი: 1:400	ფორმატი A-3
ფურცელი № დო-1	ფურცელი სულ: 1